



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ზ ა მ ტ კ ი ც ე ბ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეშელაძე

„—30—“—12—“ 2016 წელი

გვ. N2

საქართველო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ფინანსური აუდიტის ანგარიში N89/36 30.12.2016წ.

2015 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისთვის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის
ანგარიში

სარჩევი

შემოკლებები	3
ზოგადი ინფორმაცია	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	5
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ბუღალტრულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	6
აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
მოსაზრების მოდიფიცირების საფუძვლები	7
1. არაფინანსური აქტივები	7
2. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები	14
3. ხარჯები	18
4. საცნობარო მუხლი	19
5. ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	19
6. მაშტაბის შეზღუდვა	20
აუდიტორული მოსაზრება	23
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	23
1. სააღივებო პოლიტიკა	23
2. ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების მიმოხილვა	24
3. შესყიდვები	26
4. შრომის ანაზღაურება	28
5. კონტროლის სისტემები	29
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო	29
სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი	29
ს-ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა	30
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმები	31

შემოკლებები

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - სამინისტრო;
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი - ცენტრალური აპარატი;
3. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო - სააგენტო;
4. სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი - ცენტრი;
5. სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდი - ფონდი;
6. სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი - დახმარების ცენტრი;
7. სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო - რეგულირების სააგენტო;
8. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლები - წარდგენის საფუძვლები.

ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არის საქართველოს კონსტიტუციის 81² მუხლისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შექმნილი სამთავრობო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო მმართველობასა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას.

სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და დებულების შესაბამისად.

სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე და ასრულებს საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ან საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანებია:

ა) მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და საქმიანობის კოორდინაცია;

ბ) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში:

ბ.ა) ინდივიდუალური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა;

ბ.ბ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა;

ბ.გ) სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირება;

გ) სოციალური დაცვის სფეროში:

გ.ა) მოსახლეობის მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა;

გ.ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური ჯგუფებისათვის შესაბამისი გასაცემლების დადგენილ ვადებში მიწოდების უზრუნველყოფა;

გ.გ) ბავშვებზე ზრუნვა.

დ) შრომისა და დასაქმების სფეროში:

დ.ა) შრომითი ურთერთობებისა და სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა;

დ.ბ) შრომითი მიგრაციის რეგულირება;

დ.გ) დასაქმების ხელშეწყობა, არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის საკითხების კოორდინაცია.

სამინისტროს დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

სამინისტრო ეფუძნება ერთმმართველობის პრინციპს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საბიუჯეტო კოდია 35 00.

სამინისტროს მიერ 2015 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მოდიფიცირებული საკასო მეთოდით, მომზადებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი წლიური ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშგებების მიხედვით. მოდიფიცირებული საკასო მეთოდი ითვალისწინებს ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისად.

კონსოლიდაციას ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის პირველადი დოკუმენტების ჩანაწერების მიხედვით. სამინისტროს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგი საბიუჯეტო ორგანიზაციების და პროგრამების ფინანსურ ანგარიშგებებს:

ცხრილი 1.

#	საბიუჯეტო კოდი	დასახელება
1	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა	35 01 01
2	სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამა	35 01 02
3	დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა	35 01 03
4	სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა	35 01 04
5	სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და დახმარების პროგრამა	35 01 05
6	სამედიცინო მედიაციის პროგრამა	35 01 06
7	ნარკომანიისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის პროგრამა	35 01 07
8	სასწრაფო სამედიცინო დახმარების მართვის პროგრამა	35 01 08
9	საპენსიო უზრუნველყოფა	35 02 01
10	სოციალური დახმარებები	35 02 02
11	სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა	35 02 03
12	მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა	35 03 01
13	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	35 03 02
14	მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში	35 03 03
15	დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება	35 03 04
16	სამედიცინო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების მიზნით, სამედიცინო	35 03 05

	დაწესებულებების ფინანსური ხელშეწყობის ღონისძიებები	
17	ჯანმრთელობის დაზღვევა	35 03 06
18	შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	35 05 01
19	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამა	35 05 02

დაზუსტებულ ბიუჯეტსა და საკასო ხარჯს შორის სხვაობა ათას ლარებში მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 2.

ორგანიზაცი ული კოდი	დასახელება	2015 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი	2015 წლის საკასო ხარჯი	სხვაობა
35 00	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2,882,780,212	2,906,168,749	- 23,388,537
35 01	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	51,925,222	56,499,128	-4,573,906
35 02	სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა	2,034,014,752	2,033,962,402	52,350
35 03	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	771,426,032	790,577,438	- 19,151,406
35 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	24,647,806	24,408,264	239,542
35 05	შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	766,400	721,517	44,883

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული ბუღალტრული ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ბალანსს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ¹ და ბალანსთან დაკავშირებული ანგარიშები: ანგარიში ფინანსური შედეგების შესახებ, ანგარიში ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ, ანგარიში კაპიტალში ცვლილებების შესახებ, ანგარიში ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების შესახებ და შენიშვნები, რომელიც შეიცავს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებებს და ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს გარდა „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გაწეული ხარჯებისა.

¹ ფინანსური ანგარიშგების დანართი #: 1;2;3;4;5;6;7;8;9;10;11;12

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ბუღალტრულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ბუღალტრულ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია მოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრების მოდიფიცირების საფუძვლები

1. არაფინანსური აქტივები

1.1. გარემოება:

კონსოლიდირებულ (ნაერთ) ბალანსში არ არის ასახული:

- სააგენტოსთვის უსასყიდლო უზუფრუქტით თბილისის თვითმმართველი ერთეულისგან 2012 წლის 24 აპრილის ბრძანებით² გადმოცემული ქალაქ თბილისში ჯავახეთის ქუჩა II შესახვევში მდებარე 722 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი.³
- სააგენტოსთვის უსასყიდლო უზუფრუქტით ხარაგაულის მუნიციპალიტეტისგან 2011 წლის 20 აპრილის ხელშეკრულებით⁴ გადმოცემული დაბა ხარაგაულის სოლომუნ მეფის ქუჩა №61ა-ში მდებარე 314 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი⁵.
- სააგენტოსთვის სარგებლობის უფლებით 2012 წლის 14 სექტემბერს გადმოცემული ქალაქ ჭიათურაში სოფელ პერევისაში მდებარე 2,000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი⁶.
- სააგენტოს საკუთრებაში დაბა ჩოხატაურში დუმბადის №19-ში არსებული 900 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი.⁷
- სააგენტოს საკუთრებაში ქალაქ ლაგოდეხში თავისუფლების ქუჩა №11-ში არსებული 324 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი.⁸
- სააგენტოსთვის უსასყიდლო უზუფრუქტით თელავის მუნიციპალიტეტისგან 2010 წლის 22 იანვრის ხელშეკრულებით⁹ გადმოცემული ქალაქ თელავში დ. აღმაშენებლის გამზ. №41-ში მდებარე 1,196.2 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.¹⁰
- სააგენტოს სარგებლობის უფლებით 2015 წლის 3 ივლისს გადმოცემული მცხეთაში სოფელ საგურამოში განთავსებული 24,663 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი¹¹.
- სააგენტოს საკუთრებაში ქალაქ ხობში ცოტნე დადიანის ქუჩა №69-ში არსებული 1,200 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი.¹²

² ბრძანების № 01-4/40

³ საკადასტრო კოდი 01.19.20.009.098

⁴ ხელშეკრულების №10/2011

⁵ საკადასტრო კოდი 36.01.33.048

⁶ საკადასტრო კოდი 38.11.47.003

⁷ საკადასტრო კოდი 28.01.02.306

⁸ საკადასტრო კოდი 54.01.14.292

⁹ ხელშეკრულების № 21-10

¹⁰ საკადასტრო კოდი 53.20.36.164

¹¹ საკადასტრო კოდი 72.06.08.739

- სააგენტოს სარგებლობის უფლებით 2012 წლის 23 აპრილს გადმოცემული დაბა მესტიაში თამარ მეფის ქუჩა №10ა მდებარე 241,5 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი.¹³
- სააგენტოს საკუთრებაში ქალაქ ბოლნისში გორგასლის ქუჩა №15-ში მდებარე 1,288 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი.¹⁴
- სააგენტოსთვის უსასყიდლო უზუფრუქტით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან 2008 წლის 8 ივლისის ხელშეკრულებით¹⁵ გადმოცემული ქალაქ ხაშურში ტაბიძის ქუჩა №2-ში მდებარე 180,7 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.¹⁶
- სააგენტოსთვის უსასყიდლო უზუფრუქტით საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსგან 2005 წლის 28 მარტის №84 ბრძანებით გადმოცემულია ქალაქ ბათუმში ტაბიძის ქ. №2ა-ში მდებარე შენობა ნაგებობები. საჯაროს რეესტრის მონაცემებით¹⁷ სააგენტოზე ასევე დარეგისტრირებულია 1,865 კვ.მ მიწის ნაკვეთი, და დამატებით 55,5 კვ.მ შენობა-ნაგებობა, რომელიც სააგენტოს ბალანსზე არ ირიცხება.
- ცენტრის ბალანსზე ასახულია 2006 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/862 ბრძანებით გადმოცემული ქალაქ ბათუმში, ქათამაძის ჩიხი №4 4,942.4 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით ამავე მისამართზე ცენტრზე სარგებლობის უფლებით დარეგისტრირებულია 5,029 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი¹⁸.
- სახელმწიფოსგან ფონდის ფილიალებზე ფაქტიურ სარგებლობაში არსებობის ვადით გადაცემული 126,900 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

წარდგენის საფუძვლების მოთხოვნა: არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით აღირიცხება ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენა, რომელსაც გავლენა აქვს არაფინანსურ აქტივებზე და მისი ღირებულების/მოცულობის/შემადგენლობის ცვლილება შეუძლია: ა) შესყიდვა/გაყიდვა, ბარტერი, ნატურით ან ტრანსფერით მიღება/გაცემა; ბ) წარმოება საკუთარი მოხმარებისთვის ან გასაყიდად/გასასხვისებლად; გ) არსებითი გაუმჯობესება; დ) ძირითადი კაპიტალის მოხმარება¹⁹.

¹² საკადასტრო კოდი 45.21.05.039

¹³ საკადასტრო კოდი 42.06.02.145

¹⁴ საკადასტრო კოდი 80.06.64.024

¹⁵ ხელშეკრულების №17

¹⁶ საკადასტრო კოდი 69.08.03.034.01.503

¹⁷ საკადასტრო კოდი: 05.25.05.051

¹⁸ საკადასტრო კოდი: 05.30.17.011

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, მუხლი 33, ქვეპუნქტი 1

1.2. გარემოება:

- ცენტრისთვის 2015 წლის 15 აპრილს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის №15.22.436 განკარგულებით პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემულია ქალაქ თბილისში კახეთის გზატკეცილზე 37-ე კილომეტრზე მდებარე 4,278 კვ.მ მიწის ნაკვეთი,²⁰ რომლის ღირებულებაც განისაზღვრა აუდიტორული დასკვნით 299,460 ლარით²¹, ხოლო ცენტრის ბალანსზე ასახულია 7,278 კვ.მ მიწის ფართი ღირებულებით 509,460 ლარი.
- ცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან 2009 წლის 22 აპრილს²² გადმოცემული ქალაქ ამბროლაურში, ბრატისლავა-რაჭის ქ. №11-ში მდებარე 400 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი²³, რომლის ღირებულებაც განისაზღვრა 1,536 ლარი, ცენტრის ბალანსზე აღნიშნული მიწა აღრიცხულია 4,536 ლარით.
- ცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან 2009 წლის 11 ივნისის გადმოცემული ქალაქ თელავში ერეკლე II გამზირი №6 მდებარე 455 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი²⁴, რომლის ღირებულებაც განისაზღვრა 12,130 ლარი, ხოლო ცენტრის ბალანსზე აღრიცხულია 1,156 ლარით.
- ცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან 2009 წლის 1 ივნისის²⁵ ქალაქ გორში ცხინვალის გზატკეცილი №14-ში მდებარე 5,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი²⁶, რომლის ღირებულებაც განისაზღვრა 3,900 ლარი, ხოლო ცენტრის ბალანსზე აღრიცხულია 135,300 ლარით.

წარდგენის საფუძვლების მოთხოვნა: ეკონომიკური მოვლენების შედეგად, არაფინანსური აქტივების თავდაპირველი ღირებულება განისაზღვრება პირვანდელი ან შემენის ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია ყველა იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რასაც მათი შესყიდვის, უსასყიდლოდ მიღების ან წარმოების/მომსახურების შემდეგ ჰქონდა ადგილი. ასეთი ცვლილებებია: არსებითი გაუმჯობესება, ძირითადი კაპიტალის მოხმარება, გადაფასება, ამოწურვა, გამოფიტვა, ხარისხის გაუარესება, გაუთვალისწინებელი დაძველება, შემთხვევითი დაზიანებით გამოწვეული დანაკარგები და სხვა დანაკარგები²⁷.

²⁰ საკადასტრო კოდი: 01.19.25.001.155

²¹ ხელშეკრულება №480 2015 წლის 7 აგვისტო

²² ხელშეკრულება №716

²³ საკადასტრო კოდი: 86.19.22.015

²⁴ საკადასტრო კოდი: 53.20.42.099

²⁵ ხელშეკრულება №3

²⁶ საკადასტრო კოდი: 66.45.07.014

²⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, მუხლი 34, პუნქტი 6

1.3. გარემოება:

საჯარო რეესტრის მონაცემებით უზუფრუქტის რეგისტრაცია გაუქმებულია:

- სააგენტოს ბალანსზე ღირებულების გარეშე, აღრიცხულია ქალაქ თბილისში კალაუზნის ქუჩა N18 მდებარე 517.05 კვ.მ შენობა-ნაგებობა²⁸, რომელიც გადმოცემულია თბილისის თვითმმართველი ერთეულისგან 2008 წლის 6 ნოემბრის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით (სააგენტოს ბიუჯეტიდან დაფინანსების ვადით). აღნიშნულ შენობა-ნაგებობაზე 2010 წლის 8 დეკემბერს, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 7 დეკემბრის განცხადების²⁹ საფუძველზე შეწყვეტილია უზუფრუქტის უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე.
- სააგენტოს ბალანსზე აღრიცხულია 47.45 ლარის ღირებულების ქალაქ თბილისში გლდანის მიკრო/რაონი IV მდებარე 287.66კვ.მ შენობა-ნაგებობა³⁰, რომელიც გადმოცემულია თბილისის თვითმმართველი ერთეულისგან 2013 წლის 13 თებერვლის ბრძანებით³¹. (სააგენტოს არსებობის ვადით) აღნიშნულ შენობა-ნაგებობაზე 2014 წლის 18 მარტს, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 17 მარტის განცხადების³² საფუძველზე შეწყვეტილია უზუფრუქტის უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე.

წარდგენის საფუძვლების მოთხოვნა: არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის აღიცხვამი აისახება მაშინ, როდესაც ხდება არაფინანსურ აქტივებზე საკუთრების უფლების მოპვება ან დათმობა³³. იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ამ მომენტის ზუსტად განსაზღვრა, ოპერაცია აღრიცხვამი აისახება მფლობელის ფიზიკურად შეცვლის ან კონტროლის უფლების გადაცემის მომენტში³⁴.

1.4. გარემოება:

სამინისტროს ბალანსზე „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ (ანგარიშის ნომერი 2122) ანგარიშზე აღრიცხულია აქტივები რომელთა საწყისი (ისტორიული) ღირებულება 500 ლარზე ნაკლებია.

წარდგენის საფუძვლების მოთხოვნა: ძირითადი აქტივი წარმოადგენს წარმოებულ აქტივს, რომლის გამოყენება წარმოებისა და მომსახურების პროცესში ხდება ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ, ღირებულება 500 ლარი და მეტია და აკმაყოფილებს აქტივად აღიარებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.³⁵

²⁸ საკადასტრო კოდი 01.19.20.017.008

²⁹ განცხადების № 882010913909

³⁰ საკადასტრო კოდი 01.11.12.002.061

³¹ ბრძანების №01-4/13

³² განცხადების № 882014134893

³³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, მუხლი 34, ქვეპუნქტი 1

³⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, მუხლი 34, ქვეპუნქტი 2

³⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, მუხლი 32, ქვეპუნქტი 4

1.5. გარემოება:

სააგენტოს ბალანსზე, ანგარიში არასაცხოვრებელი შენობები (ანგარიშის ნომერი 2112) აღრიცხულია დაუსრულებელი შენობა-ნაგებობები, კერძოდ:

- სააგენტოსთვის უსასყიდლო უზუფრუქტით თბილისის თვითმმართველი ერთეულისგან 2012 წლის 24 აპრილის ბრძანებით³⁶ გადმოცემულია 722 კვმ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი³⁷ ტერიტორიული ოფისის განთავსების მიზნით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შენობის აშენება არ მომხდარა, ხოლო სააგენტოს ბალანსზე აღრიცხულია არასაცხოვრებელი შენობები (ანგარიშის ნომერი 2112) ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 10,310 ლარი.
- სააგენტოს საკუთრებაში დაბა ჩოხატაურში დუმბაძის №19-ში არსებული 900 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის სამშენებლო სამუშაოები არ არის დასრულებული³⁸ სააგენტოს ბალანსზე კი აღრიცხულია არასაცხოვრებელი შენობები (ანგარიშის ნომერი 2112) ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 60,123 ლარი.

წარდგენის საფუძვლების მოთხოვნა: საბალანსე ანგარიშზე „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი“ აღირიცხება ის აქტივები, რომელთა მშენებლობა ან სხვა ფორმით შექმნა შეიძლება ორ ან მეტ საანგარიშო პერიოდს მოიცავდეს - მშენებლობა ან სხვა ფორმით შექმნა დაწყებულია და ჯერ არ დასრულებულა ან ორგანიზაციას საკუთრების უფლება არ აქვს მოპოვებული.³⁹

1.6. გარემოება:

- ფონდმა 2014 წლის ივლისში გრანტის ფარგლებში⁴⁰ შეისყიდა სიღნაღის რაიონში სოფელ საქობოში არსებული 395 კვ.მ შენობა - ნაგებობა და მასზე წილობრივად დამაგრებული 1,300 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ღირებულებით 44,500 ლარი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „შენობა-ნაგებობის“ ანგარიშზე.⁴¹
- დახმარების ცენტრს 2014 წელს სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით გადაეცა შენობა-ნაგებობები საერთო ფართობით - 6,392 კვ.მ და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთები საერთო ფართობით - 9,14 ჰექტარი. სასწრაფო დახმარების ცენტრმა 2014 წლის 23 დეკემბერს უძრავი ქონების შეფასების მიზნით გააფორმა ხელშეკრულება აუდიტორულ კომპანია შპს „ექსპერტ ჯგუფთან“. აღნიშნული უძრავი ქონების (33 ტერიტორიულ ერთეულში მდებარე 36 საკადასტრო კოდი) სამემფასებლო ანგარიში მომზადდა 2014 წლის 29 დეკემბერს. აუდიტორულმა

³⁶ ბრძანების №01-4/40

³⁷ საკადასტრო კოდი 01.19.20.009.098

³⁸ საკადასტრო კოდი 28.01.02.306

³⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, მუხლი 32, ქვეპუნქტი 7

⁴⁰ გაეროს ქალთა ორგანიზაციასა და ფონდს შორის 2012 წლის 31 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება N2012-08 საქართველოში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის შესახებ

⁴¹ საკადასტრო კოდი: 56.03.57.006

კომპანიაში შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთები შეაფასა ერთად 2,116,384 ლარად, ცენტრის მიერ არ მომხდარა უძრავი ქონების გამიჯვნა და ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია როგორც „შენობა-ნაგებობა“;

წარდგენის საფუძვლების მოთხოვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც მიწა შეძენილია შენობასთან, სხვა ნაგებობებთან და კულტივირებულ აქტივებთან ერთად, აღნიშნული აქტივები უნდა შეფასდეს და აღირიცხოს ცალ-ცალკე ⁴².

1.7. გარემოება:

„დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში საჭირო მედიკამენტების შესყიდვაზე 2015 წლის 8 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება 224,824.82 ლარის ღირებულებით⁴³. 2015 წლის 12 აგვისტოს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, სააგენტომ მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი მედიკამენტი, ღირებულებით 365,290,09 ლარი. კერძოდ აქტრაპიდი პენფილი 100 ს.ე 3მლ 24,600 კარტრიჯით, ხოლო ინსულატრადი პენფილი 100 ს.ე. 3მლ. 21,000-ით მეტი, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის ჯგუფის⁴⁴ აქტის ⁴⁵თანხმად ექვემდებარება უკან დაბრუნებას, რადგან ზემოაღნიშნული გამოწვეულია ტექნიკური უზუსტობით, კერძოდ კარტრიჯის ნაცვლად ჩამოსულია კოლოფი/შეფუთვა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი მიღებული მედიკამენტები აღრიცხულია სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების (ანგარიშის ნომერი 1627) ანგარიშზე, ხოლო მიღების შედეგად დარიცხული ვალდებულების ანგარიში დაფარულია არასაოპერაციო შემოსავლების ანგარიშის (ანგარიშის ნომერი 8100) კორესპონდენციით, რომელიც თავის მხრივ წლის ბოლოს გადახურულია წმინდა ღირებულების (ანგარიშის ნომერი 5100) ანგარიშზე.

წარდგენის საფუძვლების მოთხოვნა: აქტივი - წარსული ეკონომიკური მოვლენის შედეგად ერთეულის მიერ მიღებული კონტროლირებადი რესურსი, რის საფუძველზეც მოსალოდნელია ორგანიზაციაში მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოსვლა⁴⁶.

⁴² საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, მუხლი 34, ქვეპუნქტი 35

⁴³ ხელშეკრულება №35030302/10

⁴⁴ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 20 იანვრის №04-6/ო ბრძანება და 2014 წლის 05 ივნისის №04-164/ო ბრძანება- ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული ზოგიერთი კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების შესრულების კონტროლის ჯგუფის შექმნის შესახებ

⁴⁵ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტის ფარგლებში სამკურნალო საშუალებათა (მათ შორის , საკვები დანამატების) ტრანსპორტირება, შენახვა, გაცემა-გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის აქტი №64, 2015 წლის 14 აგვისტო

⁴⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, მუხლი 3 პუნქტი 2/ლ

არასაოპერაციო შემოსავლების (8100) ანგარიშზე, აღირიცხება აქტივისა და ვალდებულების ზრდა/კლება, რომელიც ოპერაციების შედეგად არ არის წარმოქმნილი.⁴⁷ არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი წარმოიშობა: 1) ფასების დონისა და სტრუქტურის ცვლილებების შედეგად აქტივის ან ვალდებულების ფულადი ღირებულების ცვლილების შედეგად იმის გათვალისწინებით, რომ აქტივი ან ვალდებულება რაოდენობრივად ან ხარისხობრივად არ შეცვლილა; 2) უცხოურ ვალუტაში შეფასებული აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში – ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად; 3) არსებული ობიექტების ეკონომიკურ აქტივებად აღიარების ან აღიარების შეწყვეტის შედეგად; 4) აქტივების სხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებების შედეგად, რომელიც შეიძლება იყოს განპირობებული სხვა სახის მოვლენებით 5) აქტივების/ვალდებულებების კლასიფიკაციაში ცვლილებების შედეგად – არსებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი კატეგორიიდან მეორე კატეგორიაში ხელახალი კლასიფიკაციით, რაც შეიძლება განპირობებული იყოს აქტივის გამოყენების მიზნობრივი დანიშნულების შეცვლით.⁴⁸

გავლენა:

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N1 და დანართი N5-ში) არ არის აღრიცხული და შეფასებული 25.46 ჰექტარი არასასოფლო სამეურნო მიწის ნაკვეთი, საიდანაც 9.27 ჰექტარი მიწის ნაკვეთი აღრიცხულია „შენობა-ნაგებობის“ ანგარიშზე, ამასთან არ არის აღრიცხული და შეფასებული 55.50 კვ.მ შენობა-ნაგებობა.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N1 და დანართი N5-ში) არაფინანსური აქტივების საწყისი ნაშთი გაზრდილია 123,474, საბოლოო ნაშთი - 333,473 ლარით;
- არასწორი კლასიფიკაციის შედეგად ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N1 და დანართი N5-ში) 70,433 ლარით გაზრდილად არის ნაჩვენები არასაცხოვრებელი შენობების და 75,927 ლარით შემცირებულად – დაუმთავრებელი მშენებლობის ქვემუხლები.
- ფინანსური ანგარიშგებაში (ფორმა N2-ში) ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლი გაზრდილია და (ფორმა N1 -ში) შემცირებულია წმინდა ღირებულების მუხლი (ანგარიშის ნომერი 5100) 103,343 ლარით.
- ფინანსური ანგარიშგებაში (ფორმა N1-ში) გაზრდილია მატერიალური მარაგების მუხლი 365,290 ლარით. ასევე სხვა არასაოპერაციო შემოსავლების და შესაბამისად წმინდა ღირებულების მუხლი.

⁴⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, მუხლი 42 პუნქტი 2

⁴⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, მუხლი 43 პუნქტი 3

2. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

2.1. გარემოება:

ბალანსზე ირიცხება დებიტორული დავალიანება იმ იურიდიული პირების მიმართ, რომელთა შემთხვევაში 2013-2015 წლებში ძალაში შესულია სასამართლო განჩინება მოვალის გაკოტრებულად გამოცხადების და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, სულ 330,562 ლარი. საიდანაც ცენტრალური აპარატის ბალანსზე აღრიცხულია 2 იურიდიული პირის დავალიანება - 170,786 ლარი, ხოლო სააგენტოს ბალანსზე 8 იურიდიული პირის - 159,776 ლარი. ცენტრალური აპარატის ბალანსზე ირიცხება კრედიტორული დავალიანება 19 იურიდიული პირის მიმართ 1,567,586 ლარი, რომელთა შემთხვევაშიც ძალაში შესულია სასამართლო განჩინება მოვალის გაკოტრებულად გამოცხადების და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

წარდგენის საფუძვლების მოთხოვნა: დებიტორის გაკოტრების შემთხვევაში ან დებიტორული დავალიანებების თანხები, რომლებზედაც ძიების ხანდაზმულობის ვადა გასულია, რომელთა ამოღებაზეც სასამართლომ უარი განაცხადა ან რომელთა ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, სახელმწიფო ერთეულებმა შეიძლება ჩამოწერონ არასაოპერაციო ხარჯების ანგარიშზე (8200) ასახვით.⁴⁹ მოთხოვნები (დებიტორული დავალიანება), რომელთა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გასულია და სხვა ვალები, რომელთა ამოღება არარეალურია, შეიძლება ჩამოწერილი იქნას ბალანსიდან ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით.⁵⁰

ფინანსური ვალდებულებების შემცირების ოპერაციებია ვალდებულებების დაფარვა, ლიკვიდაცია ან გაუქმება.⁵¹ სახელმწიფო ერთეულების მიერ კრედიტორული დავალიანებების ჩამოწერა აისახება კრედიტორული დავალიანებების შესაბამისი ანგარიშის დებეტსა და არასაოპერაციო შემოსავლების (8100) ანგარიშის კრედიტში.⁵²

გავლენა: ფინანსური ანგარიშგებაში (ფორმა №1-ში) მოკლევადიანი აქტივების მუხლის საწყისი ნაშთი გაზრდილია 258,654, ხოლო საბოლოო ნაშთი 330,562 ლარით. მოკლევადიანი ვალდებულებების და სხვა კრედიტორული დავალიანებების საწყისი ნაშთი გაზრდილია 776,055 ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი 1,567,586 ლარით.

2.2. გარემოება:

- 2015 წლის 15 დეკემბერს დასრულდა სასამართლო განხილვა შპს საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის სასარჩელო განცხადების, რომლითაც ის ითხოვდა სააგენტოს მხრიდან ინკულაბერულ პაციენტთა პალიატიურ მზურველობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურების ანაზღაურებას. სასამართლოს გადაწყვეტილებით სააგენტოს დაეკისრა 84,520 ლარის

⁴⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, 2014 წლის 31 დეკემბერი, მუხლი 26, პუნქტი 31

⁵⁰ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №70, მუხლი 65

⁵¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, 2014 წლის 31 დეკემბერი, მუხლი 29, პუნქტი 1.

⁵² საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, 2014 წლის 31 დეკემბერი, მუხლი 29, პუნქტი 30

გადახდა, საიდანაც 5,529 ლარი შეადგენდა სახელმწიფო ბაჟს. აღნიშნული ვალდებულება სააგენტომ არ ასახა ფინანსურ ანგარიშგებაში.

- ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2014-2015 წლების დეკემბრის თვეში ასანაზღაურებელ შემთხვევების მიხედვით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების მიმართ წარმოშობილი კრედიტორული დავალიანება - 2014 წელს 14,212,220 და 2015 წელს 28,799,462 ლარი.

წარდგენის საფუძვლების მოთხოვნა: დრო, როდესაც ოპერაცია მოიცავს არსებული ფინანსური ვალდებულების წარმოშობას ან დაფარვას, დგება მაშინ, როდესაც ხელშეკრულება ხელმოწერილია ან დებიტორი კრედიტორს უხდის თანხას ან გადასცემს სხვა რომელიმე ფინანსურ აქტივს.⁵³

გავლენა: ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1-ში) შემცირებულია მოკლევადიანი ვალდებულებების და სხვა კრედიტორული დავალიანებების საწყისი ნაშთი 14,212,220 ლარით, ხოლო ნაშთი წლის ბოლოს 28,883,982 ლარით.

2.3. გარემოება:

- სააგენტოს სასარგებლოდ შპს GBG-ის სახელშეკრულებო ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო 2015 წლის 23 იანვარს სასამართლო წარმოების დასრულების შედეგად დაეკისრა 1,860 ლარი, რომელიც არ არის აღრიცხული.
- ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული რეგულირების სააგენტოს მიერ გამოცემული აქტების საფუძველზე წარმოქმნილი 708,411 ლარის დებიტორული დავალიანება. მათ შორის: 2014 წელს - 33,919 ლარი და 2015 წელს - 674,492 ლარი;

წარდგენის საფუძვლების მოთხოვნა: ფინანსური მოთხოვნები არის აქტივი, რომლებიც მფლობელს უფლებას აძლევს მიიღოს ერთი ან რამდენიმე გადახდა მეორე სუბიექტისაგან (დებიტორისაგან) მათ შორის დადებული კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. მოთხოვნები შესაძლებელია წარმოიშვას ასევე კანონის ძალით მეორე და მესამე პირების მიერ, თავიანთი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

გავლენა: ფინანსური ანგარიშგებაში (ფორმა №1-ში) მოკლევადიანი აქტივების მუხლის საწყისი ნაშთი შემცირებულია 33,919, ხოლო საბოლოო ნაშთი 676,352 ლარით.

⁵³ სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო, თავი 9, მუხლი 9.13;

2.4. გარემოება:

- სააგენტომ 2015 წლის 10 ივნისს დაიწყო სასამართლო წარმოება შპს ახალციხის კლინიკა იმედის მიმართ სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ ჩატარებული რევიზიის აქტის საფუძველზე⁵⁴, რომელსაც დაკისრებული თანხა 4,707 ლარი გადახდილი ჰქონდა 2014 წელს⁵⁵, აღნიშნული დავალიანება 2014-2015 წლებში არ არის ჩამოწერილი;
- სააგენტოს ბალანსიდან არ არის ჩამოწერილი რეგულირების სააგენტოს რევიზიის აქტის საფუძველზე დარიცხული დებიტორული დავალიანება 19 პირის მიმართ თანხით 29,722 ლარი, რომელიც დაფარულია 2014-2015 წლებში (2014 წელს 4,368 ლარი ხოლო 2015 წელს 25,354 ლარი);
- შპს „ადიკმა“ რეგულირების სააგენტოს 2014 წლის რევიზიის აქტის საფუძველზე წარმოქმნილი დავალიანება 1,500 ლარი დაფარა 2015 წელს, აღნიშნული სამეურნეო ოპერაცია სააგენტოში გატარებულია, როგორც გადამხდელი ორგანიზაციის ისე სხვა სამედიცინო დაწესებულების - შპს მარნეულის პედიატრიული კლინიკის შესაბამის ქვეანგარიშზე;

წარდგენის საფუძველების მოთხოვნა: დრო, როდესაც ოპერაცია მოიცავს არსებული ფინანსური აქტივის გაცვლას ან ფინანსური აქტივის წარმოშობას ან გაუქმებას, დგება მაშინ, როდესაც ხელშეკრულება ხელმოწერილია ან კრედიტორი დებიტორს უხდის თანხას ან გადასცემს სხვა რომელიმე ფინანსურ აქტივს.⁵⁶

გავლენა: ფინანსური ანგარიშგებაში (ფორმა №1-ში) მოკლევადიანი აქტივების მუხლის საწყისი ნაშთი გაზრდილია 9,075 ხოლო საბოლოო ნაშთი 32,929 ლარით.

2.5. გარემოება:

- ცენტრალური აპარატის ბალანსზე ირიცხება კრედიტორული დავალიანება ცენტრის მიმართ 26,053 ლარის ოდენობით, რომელიც არ არის ცენტრის ბალანსზე აღრიცხული როგორც დებიტორული დავალიანება.
- ცენტრალური აპარატის ბალანსზე ირიცხება დებიტორული დავალიანება ცენტრის მიმართ 28,018 ლარი, რომელიც არ არის აღრიცხული ცენტრის ბალანსზე როგორც კრედიტორული დავალიანება. აღნიშნული დავალიანების წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას სამინისტრო არ ფლობს.

წარდგენის საფუძველების მოთხოვნა: მოთხოვნის წარმოქმნისას, დებიტორს (აქტივის მეორე მხარეს), იმავდროულად, მოცემული აქტივის ღირებულების ტოლი ვალდებულება წარმოექმნება.⁵⁷

გავლენა: ფინანსური ანგარიშგებაში (ფორმა №1-ში) მოკლევადიანი აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთი გაზრდილია 28,018 ლარით ხოლო მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებების საწყისი და საბოლოო ნაშთი 26,053 ლარით.

⁵⁴ აქტი -24.07.2014 წელი

⁵⁵ საგადახდო დავალება №571, №735 და №415

⁵⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, მუხლი 27, პუნქტი 2

⁵⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, მუხლი 25, პუნქტი 3

2.6. გარემოება:

- 2014 წლის მოვალის გაკოტრებულად გამოცხადების და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სასამართლო განჩინების საფუძველზე⁵⁸ ცენტრალური აპარატის ბალანსიდან, დაგვიანებით 2015 წელს, ჩამოწერილია შპს „წალკის სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის“ დებიტორული დავალიანება 70,355 ლარი.
- სააგენტოს საბალანსე ანგარიშზე „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“ (ანგარიშის ნომერი 1354) რეგულირების სააგენტოს აქტების საფუძველზე წარმოქმნილია 2014 წელს 198,616 ლარის, ხოლო 2015 წელს 192,193 ლარის დებიტორული დავალიანება, რომლებიც აღრიცხულია დაგვიანებით შესაბამისად 2015 და 2016 წელს.
- სააგენტოს საბალანსე ანგარიშზე „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“ (ანგარიშის ნომერი 1354) რეგულირების სააგენტოს აქტების საფუძველზე დაკისრებული 23,889 ლარი დაფარულია 2014 წელს, ხოლო 2,570 ლარი 2015 წელს, რომლებიც ჩამოწერილია დაგვიანებით შესაბამისად 2015 და 2016 წელს.
- ეროვნული სამედიცინო ტრენინგ ცენტრის შენობის სამშენებლო სამუშაოების შესრულება ევალეზოდა შპს არტესს 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულებებით⁵⁹, რომელსაც ცენტრალურმა აპარატმა 2012 წელს ავანსის სახით გადაურიცხა 1,843,679 ლარი. შესრულებულმა სამუშაომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 3 მარტის დასკვნით შეადგენდა 1,709,730 ლარი⁶⁰. რომელიც კაპიტალიზებულია 2015 წელს⁶¹ რის შედეგადაც დებიტორული დავალიანება ჩამოწერილია დაგვიანებით ამავე პერიოდში.

წარდგენის საფუძვლების მოთხოვნა: ოპერაციები და სხვა მოვლენები ბუღალტრულ ჩანაწერებში აღირიცხება პირველად დოკუმენტებში მითითებული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღით, ხოლო მიეკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებას, როდესაც მოვლენას ჰქონდა ადგილი⁶².

გავლენა: ფინასური ანგარიშგებაში (ფორმა №1-ში) მოკლევადიანი აქტივების მუხლის საწყისი ნაშთი გაზრდილია 1,605,358, ხოლო წლის ბოლო ნაშთი შემცირებულია 189,623 ლარით.

⁵⁸ საქმე №2/17428-13

⁵⁹ 2012 წლის 25 სექტემბრის ხელშეკრულება № 3/3504/103 და 2012 წლის 11 ოქტომბრის ხელშეკრულება № 3/3504/111

⁶⁰ დასკვნის №001035514

⁶¹ ეროვნული სამედიცინო ტრენინგ ცენტრის შენობის საბალანსო ღირებულების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის ოქმი №1, 2015 წლის 18 სექტემბერი

⁶² საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, მუხლი 9, პუნქტი 11.

3. ხარჯები

3.1. გარემოება:

სამინისტროში 2015 წლის განმავლობაში შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი აღემატება 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს:

რეგულირების სააგენტოს მიერ 2015 წლის განმავლობაში შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი (280,987ლარი) აღემატება 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (194,287 ლარი). სააგენტოდან მიღებული ცნობით ირკვევა, რომ აღნიშნული მატება გამოწვეული იყო სამსახურის ფუნქციებისა და კომპეტენციების ზრდით, თუმცა ანალიზით ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული მთავრობის განკარგულების გამოცემის შემდეგ სულ მიღებულია 8 შტატგარეშე თანამშრომელი (მაშინ როდესაც სააგენტოში წლის განმავლობაში 11 შტატი იყო ვაკანტური), რომელთა ჯამური ანაზღაურება წლის ბოლომდე შეადგენდა 28,300 ლარს.

წარდგენის საფუძვლების მოთხოვნა: შრომის ანაზღაურების⁶³ მუხლით 2015 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა აღემატებოდეს 2014 წლის საკასო ხარჯს⁶⁴.

3.2. გარემოება:

სააგენტოში საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა დროის მონაკვეთში ირიცხებოდა 753 შტატგარეშე მოსამსახურე (შტატიან თანამშრომელთა 45%), რომელთა საშუალო ხელფასი იყო 960 ლარი, რაც აღემატება „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად⁶⁵, შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობასთან, მათი შრომის ანაზღაურებასთან და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გამონაკლისების დაშვების თაობაზე არსებულ შეთანხმებას საქართველოს მთავრობასთან, კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის N46, 2015 წლის 27 აგვისტოს N1807 და 2015 წლის 12 ნოემბრის N2428 განკარგულებების მოთხოვნებს, რომლებითაც შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო შრომის ანაზღაურება განისაზღვრა არაუმეტეს 850 ლარის ოდენობით.

⁶³ "საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულების მოთხოვნების, დანართის მე-3 პუნქტი

⁶⁴ "საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულების მოთხოვნები.

⁶⁵ 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონი მე-8 თავი, მუხლი 22, პუნქტი 2.

4. საცნობარო მუხლი

4.1. გარემოება:

სამინისტროს ბალანსის საცნობარო მუხლში „პირობითი მოთხოვნები“ (05) არ არის აღრიცხული 2015 წელს განხილვის სტადიაში მყოფ სასამართლო საქმესთან დაკავშირებული მოთხოვნები, სულ 889,652 ლარი: დახმარების ცენტრის 52,010 სააგენტოს 486,758 და ცენტრალური აპარატის 350,884 ლარი. ხოლო, საცნობარო მუხლში „პირობითი ვალდებულებები“ (06) არ არის აღრიცხული 2015 წელს განხილვის სტადიაში მყოფ სასამართლო საქმესთან დაკავშირებული ვალდებულებები, სულ 1,349,678 ლარი: დახმარების ცენტრის 20,600 ფონდის 230,166 და სააგენტოს 1,098,911 ლარი.

წარდგენის საფუძვლების მოთხოვნა: ინსტრუმენტი, რომელიც წარმოქმნილია წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ერთეულის ფინანსურ შედეგებზე ან მდგომარეობაზე იმის მიხედვით, მომავალში მოხდება თუ არ მოხდება ერთი ან მეტი ისეთი განუსაზღვრელი მოვლენა, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება ორგანიზაციის კონტროლს, განიხილება როგორც პირობითი ინსტრუმენტი.⁶⁶ საცნობარო მუხლში „პირობითი მოთხოვნები“ (05) – აღირიცხება ისეთი მოთხოვნები, რომლებიც ძალაში შედის მხოლოდ შეთანხმებული პირობის ან პირობების წარმოქმნისას, უფლებების დადგენით, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომავალ გადაწყვეტილებებზე, მათ შორის, მოთხოვნები მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, მოთხოვნები განხილვის სტადიაში მყოფ სასამართლო საქმეებთან დაკავშირებით და სხვა მოთხოვნები.⁶⁷

გავლენა: ფინანსური ანგარიშგებაში (დანართი №1-ში) საცნობარო მუხლში შემცირებულია „პირობითი მოთხოვნები“ (05) საბოლოო ნაშთი 960,007, ხოლო „პირობითი ვალდებულებები“ (06) საწყისი ნაშთი 1,059,580 და საბოლოო ნაშთი 1,349,678 ლარით.

5. ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია განმარტებითი ბარათის სახით, რომელიც არ აკმაყოფილებს საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქციის მოთხოვნებს და არ მოიცავს შემდეგ მონაცემს/ინფორმაციას:

- ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირების დასკვნას იმის შესახებ, რომ ფინანსური ანგარიშგება უტყუარად წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების ნაკადებს;

⁶⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, 2014 წლის 31 დეკემბერი, მუხლი 11, პუნქტი 1

⁶⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №429, 2014 წლის 31 დეკემბერი, მუხლი 47, პუნქტი 6

- დასტურს, რომ ხარჯები გაწეულია ასიგნებების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესასრულებლად;
- იმ კონტროლირებული ერთეულის სახელწოდებას, სადაც მაკონტროლებელი ერთეული ფლობს საკუთრების წილის და/ან ხმის უფლების 50%-ს ან ნაკლებს, იმ განმარტებასთან ერთად, თუ რა სახით ხორციელდება კონტროლი;
- შემოსავლების შესახებ, ესენია: დარიცხული და საკასო შესრულებით მიღებული შემოსავლების შესახებ; საბაზრო (ეკონომიკური საქმიანობით) და არასაბაზრო (უსასყიდლოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებით) წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურების შესახებ; არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახდები და ტრანსფერები, სანქციები, ჯარიმები, საურავები) და გაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების შესახებ;
- ფიზიკური ცვეთის, შემთხვევითი დაზიანების ან მორალური ცვეთის შედეგად აქტივების ღირებულების შემცირებაზე, ძირითადი კაპიტალის მოხმარების სახით.

6. მაშტაბის შეზღუდვა

6.1. გარემოება:

რიგ შემთხვევებში სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში არ არის ჩატარებული სავალდებულო ინვენტარიზაცია.⁶⁸ სამინისტროს ცენტრალურ აპარატში და რეგულირების სააგენტოში 2015 წელს ბალანსზე რიცხული ქონების, მატერიალური მარაგების, ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, ხოლო დახმარების ცენტრმა ვერ წარმოადგინა დასრულებული ინვენტარიზაციის აქტები. ამასთან, ცენტრალურ აპარატში 2014 წელს ინვენტარიზაციის აქტის თანახმად, კომისიამ ვერ შეძლო ბალანსზე რიცხული 1500-მდე ერთეული მოძრავი ქონების იდენტიფიცირება. სააგენტოში 2015 წელს ჩატარებული ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ აკმაყოფილებს ბრძანებით დამტკიცებულ მოთხოვნებს⁶⁹, ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია მოხსენებითი ბარათის სახით, რომელშიც არ არის მოცემული:

- საინვენტარიზაციო კომისიამ დოკუმენტური შემოწმების გზით დაადგინა თუ არა დანაკლისებით მოთხოვნების ანგარიშზე რიცხული თანხების სისწორე და ამ დავალიანებათა ამოსაღებად გატარებული ღონისძიებები;
- ანგარიშები, რომლებსაც ჩაუტარდათ ინვენტარიზაცია, უიმედო ვალები, რომელთა ძიების ხანდაზმულობის ვადა გასულია და ა.შ.;
- იმ მოთხოვნების საძიებო ვადის გადაცილების შემთხვევების და იმ პირთა შესახებ ინფორმაცია, ვისაც ბრალი მიუძღვის სათანადო ზომების მიუღებლობაში.

⁶⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №605, 2010 წლის 23 ივლისი

⁶⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №605, 2010 წლის 23 ივლისი, მუხლი 13

სააგენტოს მიერ 2015 წლის ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციის დასკვნა არ აკმაყოფილებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ მოთხოვნებს⁷⁰ კერძოდ არ არის მოცემული:

- ისეთი აქტივების, შესახებ ინფორმაცია რომლებიც აღრიცხვაში არ არის ასახული ან სააღრიცხვო რეგისტრებში შეტანილია არასწორად.
- ინფორმაცია ინვენტარიზაციით გამოვლენილი აღურიცხავი ობიექტების შესახებ, რომელთა შეფასება მოხდა გაწეული დანახარჯების ღირებულებით, ხოლო ცვეთა განისაზღვრა მიღების თარიღისა და ცვეთის დადგენილი ნორმების გათვალისწინებით ან /და არსებული დოკუმენტაციით ღირებულების ვერ დადგენის შემთხვევაში მოთხოვნილია და მოწვეულია თუ არა კვალიფიციური სპეციალისტი.
- ინფორმაცია დაუმთავრებელი მშენებლობის ობიექტის შესახებ და შესრულებული სამუშაოების მოცულობა, რომელიც განისაზღვრება მისი ფიზიკური შემოწმებით, ამ ობიექტზე ცალკეული სახის სამუშაოების, კონსტრუქციული ელემენტების, მოწყობილობების და ა.შ. მიხედვით
- ინფორმაცია დაუმთავრებელ სამშენებლო ობიექტებზე, რომლებიც ექსპლუატაციაშია შესული მთლიანად ან ნაწილობრივ, მაგრამ არ არის გაფორმებული სათანადო დოკუმენტებით.
- ინფორმაცია ობიექტებზე, რომელთა მშენებლობაც შეწყვეტილ იქნა, ასევე საპროექტო-სადიებო სამუშაოებზე, რომლებიც ექვემდებარება ბალანსიდან ჩამოწერას, არ არის შედგენილი აქტი, შესრულებული სამუშაოების ღირებულების და სამუშაოების შეწყვეტის მიზეზების მითითებით.

6.2. გარემოება:

აუდიტის ჯგუფმა სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისგან მიიღო დებიტორული/კრედიტორული დავალიანებების რეესტრი, რომელიც მოიცავდა ორგანიზაციის დასახელებას, საიდენტიფიკაციო კოდს, დავალიანების წარმოშობის წელს და თანხას.

ცხრილი 3.

2015 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით დებიტორული/კრედიტორული დავალიანება.

დასახელება	დებიტორული დავალიანება		კრედიტორული დავალიანება	
	საწყისი ნაშთი	საბოლოო ნაშთი	საწყისი ნაშთი	საბოლოო ნაშთი
ცენტრალური აპარატი	17,193,311	14,528,381	16,360,718	16,663,062
სააგენტო	14,141,978	17,903,369	61,150	46,236

⁷⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №605, 2010 წლის 23 ივლისი, მუხლი 9

ფონდი	223,522	137,115	78,352	63,238
ცენტრი	9,213,243	7,222,540	892,471	1,179,605
დახმარების ცენტრი	2,687	70,629	106,410	279,922
რეგულირების სააგენტო	324	324	4,089	-
სულ	40,775,065	39,862,358	17,503,190	18,232,063

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურის წერილის გასაგზავნად დებიტორული დავალიანების რეესტრიდან შერჩეულია 287, ხოლო კრედიტორული დავალიანების რეესტრიდან 164 ორგანიზაცია. აღნიშნული ორგანიზაციების დავალიანება 2015 წლის 31 დეკემბრის შესაბამისად შეადგენდა 22,934,931 და 16,933,043 ლარს. პასუხი მიღებულია 69 ორგანიზაციისგან (დებიტორული დავალიანების რეესტრიდან 53, ხოლო კრედიტორული დავალიანების რეესტრიდან 16) საიდანაც დადასტურებულია მხოლოდ 32 ორგანიზაციის (16 - როგორც დებიტორული, ისე კრედიტორული დავალიანების რეესტრიდან) დებიტორული დავალიანება 1,014,596 ლარი, ხოლო კრედიტორული დავალიანება 851,328 ლარი, რაც შეადგენს შერჩეული ორგანიზაციების დავალიანების მხოლოდ 4 და 5 პროცენტს. გონივრული რწმუნების მისაღებად დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარება შეუძლებელია, შესაბამისად ვერ ვრწმუნდებით აღნიშნული დებიტორული/კრედიტორული დავალიანებების სიზუსტეში.

6.3. გარემოება:

სახელმწიფო გასაცემელის მიმღები პირის საბანკო ანგარიშზე ზედმეტად ჩარიცხული თანხების ბიუჯეტში აღდგენისთვის სააგენტოს 2015 წლის 2 აპრილის №04-97/ო ბრძანებით დამტკიცებულია სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე დაბრუნების საღრიცხვო სისტემის მომხმარებლის ინსტრუქცია და ბანკიდან დაუბრუნებელი თანხების ბიუჯეტში აღდგენისათვის გასატარებელი დამატებითი ღონისძიებების მეთოდიკა. ტერიტორიული ერთეული ვალდებულია სს „ლიბერთი ბანკიდან“ ბიუჯეტში დასაბრუნებლად გამოთხოვილი თანხების შესახებ მიღებული ინფორმაციით განაახლოს გასაცემლების მიმღებთა ერთიანი საღრიცხვო ბაზა. აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო ინფორმაცია 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ზედმეტად ჩარიცხული თანხის გამტანი პირების და შესაბამისად ამ დროისთვის მოთხოვნის ნაშთის შესახებ. სააგენტოში სისტემატიზებულია მხოლოდ 2015 წლის 1 აპრილის შემდგომ ბანკისგან მიღებული თანხის გამტანი პირების შესახებ ინფორმაცია, რომელის მიხედვითაც 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო პენსია/სოციალური პაკეტის შემთხვევაში მესამე პირის მიერ გატანილი თანხა შეადგენდა 126,268 ლარს, ხოლო სახელმწიფო კომპენსაციის შემთხვევაში 30,804 ლარს. ამასთან რიგ შემთხვევებში არ არის ცნობილი თანხის გამტანი მესამე პირის ვინაობა, ხოლო მათი დავალიანების თანხობრივი შეფასება წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შეუძლებელია.

6.4. გარემოება:

2015 წელს დახმარების ცენტრმა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელა 75,206 ლარის საწვავის ტალონების შესყიდვა - სპს ბოლქვამე ზურაბს შორის და შპს იბერკომპანი პეტროლიუმთან. წარმოდგენილი მტკიცებულებებით აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო დასაბუთებული რწმუნება 60,426.40 ლარის ღირებულების საწვავის მიღებასა და ხარჯვაზე, ვინაიდან ცენტრმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები და ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები.

აუდიტორული მოსაზრება

ჩვენის აზრით, მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად ასახავს საქართველოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშს და ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიშს იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

1. სააღრიცხვო პოლიტიკა

გარემოება: სამინისტროს სისტემაში არ არის დანერგილი ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა, როგორც ეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ 2014 წლის 31 დეკემბერს N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის მე-17 მუხლის 34-35 პუნქტებით არის მოთხოვნილი. სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაციების ნაწილი ანალოგიური ოპერაციების და მოვლენებისათვის იყენებენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისგან განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. ამ დროს აუცილებელია

მათი ფინანსური ანგარიშგების კორექტირება კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების პროცესში, რაც არ არის შესრულებული. სისტემაში დანერგილი ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა უზრუნველყოფდა და გააუმჯობესებდა, როგორც სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების ფინანსური ანგარიშგებების, ცალკეული პროგრამების ფინანსური ანგარიშგებების, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას, საიმედოობას და შესადარისობას, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას კონსოლიდაციის სისწორეს, შესაბამისობას და შესადარისობას.

2. ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების მიმოხილვა

2.1. გარემოება:

საბიუჯეტო წლის ბოლოს ავანსების სახით გადახდის აუცილებლობა მხარჯავი დაწესებულების წინაშე იმ მომენტისათვის არ იდგა.

- ცენტრის მიერ 2015 წლის 15 ოქტომბერს შენობის დასრულების სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება, ღირებულებით 112,000 ლარი. ხელშეკრულებით განსაზღვრულ იქნა წინასწარი ანგარიშსწორება ღირებულების 30%-ის ოდენობით. თუმცა ხელშეკრულებაში 14 დეკემბერს შესული ცვლილების შედეგად აღნიშნული პუნქტი 100%-მდე იქნა გაზრდილი, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა მთლიანი თანხის ავანსის სახით გადარიცხვას.
- სააგენტოს მიერ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების პროგრამის ფარგლებში საქონლის შესყიდვის მიზნით 2015 წლის 22 ივნისს გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება, ღირებულებით 605,000 ლარი. საქონლის მოწოდების ვადად განისაზღვრა არაუგვიანეს 2015 წლის 25 დეკემბერი. მიუხედავად იმისა, რომ 28 დეკემბერს ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების შედეგად საქონლის მოწოდების ვადა გადაიწია 2016 წლის 1 თებერვლამდე, სააგენტოს მიერ 31 დეკემბერს კომპანიისათვის ავანსის სახით გადარიცხულ იქნა 46,500 ლარი.

2.2. გარემოება:

წლის განმავლობაში ასიგნებებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ხდება ცალკეული პროგრამებისათვის/ქვეპროგრამებისათვის გათვალისწინებული სახსრების შემცირება და მათი მიმართვა სხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, თუმცა ხშირად საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ასიგნებების გადანაწილების მოთხოვნის მიზნით წარმოდგენილ წერილებში მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ იმის შესახებ, თუ რომელი ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება აღნიშნული სახსრებით და არაფერია ნათქვამი, რომელი აქტივობების შეჩერებას გამოიწვევს ეს ქმედება:

„სოციალური დახმარებების“ (35 02 02) ქვეპროგრამიდან, სხვადასხვა პროგრამების შესრულების მიზნებისათვის, ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში 4 ქვეპროგრამაზე გადატანილი ასიგნებების ოდენობამ 17,730,000 ლარი შეადგინა, მაშინ როდესაც აღნიშნულ (35 02 02) ქვეპროგრამაზე საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირებისათვის ოქტიმბერში გამოყოფილ იქნა 1,158,000 ლარი.

2.3. გარემოება:

ზოგიერთი ქვეპროგრამა, რომელსაც დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში ათვისების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს, ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ თავდაპირველ გეგმასთან შედარებით შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება, რაც ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

ცხრილი 4.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	დამტკიცებული გეგმა (1)	დაზუსტებული გეგმა (2)	საკასო შესრულება (3)	(3)/(1) %	(3)/(2) %
35 01 06	სამედიცინო მედიაციის პროგრამა	430	181	176	40.9%	97.2%
35 01 07	ნარკომანიისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის პროგრამა	300	31	31	10.4%	99.7%
35 01 08	სასწრაფო სამედიცინო დახმარების მართვის პროგრამა	1,750	1,170	1,075	61.4%	91.9%
35 02 03 01	მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	1,035	223	223	21.6%	100.0%
35 02 03 03	მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	800	527	527	65.8%	100.0%
35 03 02 01	დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი	2,000	1,570	1,556	77.8%	99.1%
35 03 02 03	ეპიდზედამხედველობის პროგრამა	1,000	624	614	61.4%	98.4%
35 03 03 03	ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება	2,000	1,274	1,274	63.7%	100.0%
35 03 03 05	ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა	2,500	1,552	1,524	60.9%	98.1%

35 03 04	დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლება	1,000	346	312	31.2%	90.3%
35 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	31,293	24,648	24,408	78.0%	99.0%
35 05		4,000	766	722	18.0%	94.1%

3. შესყიდვები

3.1. გარემოება:

2015 წლის 27 მაისს⁷¹ სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამას დაემატა დაბა ხარაგაულისა და ლენტეხის მრავალპროფილიანი საავადმყოფოების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა და მათი ბიუჯეტი შესაბამისად განისაზღვრა 1,539,000 და 2,586,500 ლარით. დადგენილების თანახმად, ზემოაღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში შესყიდვები უნდა განხორციელებულიყო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესყიდვის ღირებულების გათვალისწინებით ელექტრონული ტენდერის საშუალებით. თითქმის 3 თვის შემდეგ, 2015 წლის 2 სექტემბერს დადგენილებაში შევიდა ცვლილება⁷², რომლის თანახმად სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად განხორციელების მიზნით შესყიდვის ფორმად განისაზღვრა გამარტივებული შესყიდვა. 2015 წლის 8 ოქტომბერს ხელშეკრულებები ორივე საავადმყოფოს მშენებლობაზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა შპს „მშენებელი 2004“-თან. 2015 სექტემბრამდე, ანუ იმ დრომდე პერიოდი, როდესაც შესყიდვის ფორმად განისაზღვრებოდა გამარტივებული შესყიდვა, სრულიად საკმარისი იყო სატენდერო პროცედურების განსახორციელებლად.

3.2. გარემოება:

2015 წლის 31 მარტს ცენტრმა „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისა“ და „აივ ინფექცია შიდსის“ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150010108) სწრაფი მარტივი ტესტ-სისტემების შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 160,170 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა: შპს „უნიმედი“, შპს „ეკონ ჯორჯია“ და შპს „ექსპრესდიაგნოსტიკა“. ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. შესაბამისად, შემსყიდველმა მიიღო გადაწყვეტილება სატენდერო პროცედურების ხელახლა

⁷¹ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 მაისის N224 დადგენილება „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

⁷² საქართველოს მთავრობის 2015 წლის 02 სექტემბრის N453 დადგენილება „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ჩატარებამდე შესყიდვა განხორციელებინათ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით უწყვეტად იმავე მიმწოდებელთან, რომელთანაც 2014 წელს გაფორმებული იყო ხელშეკრულება იდენტური საქონლის მიწოდებაზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ეს მიმწოდებელი უარს განაცხადებდა იმავე პირობებით საქონლის მიწოდებაზე და ხელშეკრულების გაფორმებაზე, შესყიდვა განხორციელებინათ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობით. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება იმ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თაობაზე, რომელთანაც 2014 წელს იყო ხელშეკრულება გაფორმებული. გამარტივებული შესყიდვის განხორციელებამდე 2015 წლის 22 მაისს, მაშინ როდესაც ტენდერით დაფიქსირებული იყო საქონლის ერთეულის ღირებულება საყვარელიძემ გამოაცხადა ხელახალი ბაზრის კვლევა შესასყიდი საქონლის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მიზნით. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ბაზრის კვლევაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა შპს „ეკონ ჯორჯიამ“, რომელსაც 2015 წლის 3 ივნისს გაუფორმდა ხელშეკრულება 38,610 ლარის ღირებულების, აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ერთეულის ღირებულება აღემატება ზემოაღნიშნული უაროფითი შედეგით დასრულებულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების მიერ გაცხადებულ საქონლის ერთეული ფასს.

ცხრილი 5.

სახელმწიფო პროგრამის დასახელება	ტესტ-სისტემის დასახელება	ტენდერში დაფიქსირებული უმცირესი ფასი	გამარტივებული ფორმით შესყიდული ერთეულის ღირებულება	მწარმოებელი ქვეყანა
„დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამა	HIV 1.2	0.76	1.11	ჩინეთი
	HBsAg	0.46	0.70	ჩინეთი
	syphilis	0.45	0.71	ჩინეთი
„აივ- ინფექცია / შიდსის“ სახელმწიფო პროგრამა	HIV 1,2 სწრაფი/მარტივი ტესტი	0.61	1.11	ჩინეთი

ამასთან, მოცემული ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული საქონლის ნაშთები ფიქსირდება 2015 წლის ნოემბრის ბოლომდე.⁷³

⁷³ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 10¹, პუნქტი 3, „ბ“ ქვეპუნქტი;

4. შრომის ანაზღაურება

4.1. გარემოება:

სააგენტოში (იანვარ-მაისი, ივნისიდან გამოსწორებულია აუდიტის სამსახურის წინა წლის ფინანსური აუდიტის რეკომენდაციიდან გამომდინარე), ცენტრში, დახმარების ცენტრში, ფონდში და რეგულირების სააგენტოში პრემიების და დანამატების გაცემის ფორმალურ საფუძველს წარმოადგენს ხელმძღვანელის ბრძანება. მოცემულ ბრძანებებში არ არის მითითებული შრომის ანაზღაურების (პრემიის, სახელფასო დანამატი) გაცემის საფუძველები. ამასთან, ვერ იქნა წარმოდგენილი დანამატების და პრემიის გაცემის მატერიალური კანონიერების (ზეგანაკვეთური ან/და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულების) დამადასტურებელი რაიმე სახის აუდიტორული მტკიცებულება.

- არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი შტატგარეშე თანამშრომლის თანამდებობრივი სარგო აღემატება მინისტრის თანამდებობრივ სარგოს, ამასთან ზოგიერთი მათგანის მიხედვით, ამავდროულად, გაცემულია თანამდებობრივის სარგოს ოდენობის პრემიაც. ცენტრალურ აპარატში საანგარიშო წლის განმავლობაში პრემია 14-ჯერ არის გაცემული სამინისტროს 2 თანამშრომელზე, რითაც დარღვეულია 2014 წლის 15 ივლისის საქართველოს მთავრობის N449 დადგენილების მეხუთე პუნქტის მოთხოვნები;
- რეგულირების სააგენტოში 2015 წლის პირველ 5 თვეში დანამატის გაცემა ხდებოდა ერთსადაიმავე - 22, ივნისი-ოქტომბერში - 46, ხოლო ნოემბერ-დეკემბერი 58 თანამშრომელზე. წახალისებულ თანამშრომელთა ნაწილი საერთოდ არ ატარებს სამუშაოს, ნაწილს გვიან შემოსვლა და ადრე გასვლა უფიქსირდება, ხოლო 1 მათგანი კი მხოლოდ 2-3 საათს ატარებს სამსახურში.
- სააგენტოში არაა დამტკიცებული სამუშაოს აღწერილობები. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, შტატგარეშე თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებში მითითებული შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობის დანართი უმრავლეს შემთხვევაში არ არსებობს. სამუშაოს აღწერილობები არ არის ცენტრალურ აპარატში. მხოლოდ კონკრეტული ვაკანსიის გამოცხადების მომენტისთვის იქმნება შესაბამისი აღწერილობა, რომელიც არ მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

5. კონტროლის სისტემები

სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო

- არ ხდება გამოცემული რევიზიის აქტების და მასთან დაკავშირებული მასალების რეგისტრაცია საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. კერძოდ, სააგენტოს მიერ გამოცემული აქტები არ არის დანომრილი, არ არსებობს ხელმოწერილი რეესტრი თუ ვისთან - რომელ თანამშრომელთან რა რაოდენობის აქტები ინახება.
- სარევიზიო ჯგუფის წევრები სამსახურებრივ საქმიანობას ეწეოდნენ (ვიან) ერთდროულად - როგორც დეპარტამენტში, ასევე შესამოწმებელ სამედიცინო დაწესებულებებში. არის ისეთი შემთხვევა, როდესაც პირს მიღებული აქვს შემოსავალი იმ სამედიცინო დაწესებულებიდან სადაც ამავე პერიოდში აღნიშნული სამედიცინო დაწესებულებაში ახორციელებდა რევიზიას.
- რევიზიის შედეგად აღმოჩენილი დარღვევების შემთხვევაში, აქტის საფუძველზე, მიმწოდებელს ეკისრება უკვე ანაზღაურებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება ან/და დამატებითი ფინანსური ჯარიმის გადახდა ვალდებულების აღიარების თარიღიდან 60 კალენდარულ⁷⁴ დღეში. რეგულირების სააგენტოს მიერ 2015 წელს სააგენტოში ინფორმაცია გადაგზავნილია დიდი დაგვიანებით, რის გამოც გვიანდება სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების აღდგენის ან/და საჯარიმო სანქციების გადახდა, ვინაიდან სააგენტო სამედიცინო დაწესებულებისთვის ბიუჯეტში დასაბრუნებელი თანხის 60 დღიანი ვადის ათვლას იწყებს რეგულირების სააგენტოს მიერ გადმოგზავნილი კორესპოდენციის ჩაბარების თარიღიდან და არა აღიარების თარიღიდან.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი

დახმარების ცენტრი შესყიდული საწვავის ხარჯვის შესახებ ინფორმაციას იღებდა ექსელის ფორმით რაიონული მენეჯერებისგან თითოეულ ავტომობილზე, რომელიც მოიცავს შემდეგ მონაცემებს: თარიღი, კონკრეტული დღისათვის სპიდომეტრის საწყისი და საბოლოო მაჩვენებელი, შესაბამისი დღისათვის განვლილი კილომეტრაჟი და მოხმარებული საწვავის რაოდენობა. წარმოდგენილი ფორმები არ არის ხელმოწერილი რაიონული სერვის ცენტრის პასუხისმგებელი პირის მიერ. შესყიდვის აუცილებლობას კი სწორედ ზემოაღნიშნული ფორმების საშუალებით განსაზღვრავენ.

⁷⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება №308 მუხლი 23 პუნქტი 3-ზ, საქართველოს მთავრობის დადგენილება №36 მუხლი 20, პუნქტი 5-ზ

ც-ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა

2015 წლის 28 აპრილიდან 31 დეკემბრის თვის ჩათვლით მკურნალობის მონიტორინგის ფარგლებში შემოსულია სულ 5589 შეტყობინება. საიდანაც შემოწმებულია მხოლოდ 359 შემთხვევა რაც მთლიანი შეტყობინებების 6%-ია. დადგენილი შერჩევის მეთოდის⁷⁵ გათვალისწინების შემთხვევაში უნდა შემოწმებულიყო 1351 შემთხვევა.

325 შემთხვევაში შემოწმება განხორციელებულია დადგენილი ვადის დარღვევით, ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა მერყეობს 1 დან 148 დღის დიაპაზონში.

ც-ჰეპატიტის პროგრამა მიმწოდებლების კონტროლის ორ მექანიზმს ითვალისწინებს. ეს არის პროგრამით განსაზღვრული პირობების შესრულების:

1. **კონტროლი**⁷⁶ - განმახორციელებელი სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის, და
2. შესრულებული სამუშაოს **რევიზია**⁷⁷ - განმახორციელებელი რეგულირების სააგენტო.

შესამოწმებელ პერიოდში არ განხორციელებულა პროგრამაში ჩართული მიმწოდებლების კონტროლი და რევიზია.

აუდიტორთა ხელმოწერა:

წამყვანი აუდიტორი		ნინო გოგიანი
უფროსი აუდიტორი		ლაშა ლაშვილი
აუდიტორი		ვიქტორია ბუკია
აუდიტორი		თამთა მელქაძე
აუდიტორი		ლაშა ჩივაშვილი
აუდიტორი		მარიამ ჭოლოკავა
აუდიტორ ასისტენტი		ნანი ჩაგანავა

⁷⁵ 2015 წლის 29 მაისის სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის ბრძანება N04-153/ო

2015 წლის 14 სექტემბრის სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის ბრძანება N04-268/ო

⁷⁶ 2015 წლის 14 სექტემბრის სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის ბრძანება N04-268/ო

⁷⁷ 2015 წლის 20 აპრილის დადგენილება N169, მუხლი 16

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმები
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ფორმა №1 – ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

	31.12.2015	31.12.2014
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	9,059,210	6,393,339
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	9,437,103	6,189,465
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	25,296,509	29,456,854
სხვა მატერიალური მარაგები	238,828,094	9,481,039
სულ მოკლევადიანი აქტივები	282,620,916	51,520,697
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	4,954,684	4,954,684
სტრატეგიული მარაგები	3,509,614	3,512,015
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	751,257	244,030
ძირითადი აქტივები	298,422,469	284,921,675
ფასეულობები	-	-
არაწარმოებული აქტივები	11,515,477	6,626,795
სულ გრძელვადიანი აქტივები	319,153,501	300,259,199
ბალანსი	601,774,417	351,779,896
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები		
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	17,735,208	17,364,721

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	17,735,208	17,364,721
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	322,793	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	322,793	-
სულ ვალდებულებები	18,058,001	17,364,721
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	580,747,848	331,877,858
გაუნაწილებელი მოგება	2,968,568	2,691,936
დაუფარავი ზარალი	-	154,619
სულ კაპიტალი	583,716,416	334,415,175
ბალანსი	601,774,417	351,779,896

ფორმა №2 – ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიური საქმიანობა	სულ	2014 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
ბიუჯეტიდან დაფინანსება	2,906,120,794.00	-	2,906,120,794.00	2,642,784,237.00
შემოსავლები	1,102,528,510.00	1,097,618.00	1,103,626,128.00	253,952,441.00
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	30,814,788.00	-	30,814,788.00	5,282,086.00
სხვა შემოსავლები	1,071,713,722.00	1,097,618.00	1,072,811,340.00	248,670,355.00
ა. ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები	-	-	-	15,060.00
ბ. საქონლისა და მომსახურების რელიზაცია	-	965,337.00	965,337.00	9,063,561.00
გ. სანქციები, ჯარიმები, საურავები	3,161,110.00	20,037.00	3,181,147.00	501,186.00
დ. ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	1,067,268,342.00	68,429.00	1,067,336,771.00	4,689.00

ე. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1,284,270.00	43,815.00	1,328,085.00	239,085,859.00
სულ	4,008,649,304.00	1,097,618.00	4,009,746,922.00	2,896,736,678.00
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	33,603,641.00	525,595.00	34,129,236.00	34,626,200.00
საქონელი და მომსახურება	57,903,517.00	362,179.00	58,265,696.00	47,978,746.00
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	11,149,368.00	53,558.00	11,202,926.00	9,212,045.00
პროცენტი	-	-	-	-
სუბსიდიები	8,929,550.00	-	8,929,550.00	6,137,372.00
გრანტები	29,763,587.00	2,088.00	29,765,675.00	1,918,526.00
სოციალური უზრუნველყოფა	3,587,385,801.00	-	3,587,385,801.00	2,510,494,743.00
სხვა ხარჯები	32,069,893.00	7,531.00	32,077,424.00	39,124,182.00
რეალიზებული მარაგების ხარჯი	-	-	-	-
სულ	3,760,805,357.00	950,951.00	3,761,756,308.00	2,649,491,814.00
ფინანსური შედეგი	247,843,947.00	146,667.00	247,990,614.00	247,244,864.00

ფორმა №3 – ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	248,869,990.00	431,251.00	-	249,301,241.00
კორექტირებები:¹	-	-	-	-
გვეთა (+)	11,149,368.00	53,558.00	-	11,202,926.00
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+) ²	(16,456,852.00)	1,101.00	-	(16,455,751.00)
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(229,150,348.00)	(194,307.00)	-	(229,344,655.00)
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	(498,287.00)	(8,940.00)	-	(507,227.00)
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(231,208.00)	(79,702.00)	-	(310,910.00)
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	369,637.00	850.00	-	370,487.00

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან³	14,052,300.00	203,811.00	-	14,256,111.00
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	-	-	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	11,534,509.00	62,472.00	-	11,596,981.00
ძირითადი აქტივები	11,534,509.00	62,372.00	-	11,596,881.00
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	100.00	-	100.00
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან⁴	(11,534,509.00)	(62,472.00)	-	(11,596,981.00)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	-	-	-	-
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან⁵	-	-	-	-
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება⁶	2,517,791.00	141,339.00	-	2,659,130.00
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	5,282,085.00	1,111,253.00	-	6,393,338.00
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	7,806,618.00	1,252,592.00	-	9,059,210.00
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	-	-	-	-
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-

ფორმა №4 – კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	331,877,858.00	2,537,317.00	334,415,175.00
არასაოპერაციო შემოსავლები	10,241,029.00	298,165.00	10,539,194.00

კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	2,327,574.00	-	2,327,574.00
არაფინანსური აქტივების მიღება	7,910,690.00	-	7,910,690.00
კრედიტორის დაფარვა	2,765.00	-	2,765.00
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	-	298,165.00	298,165.00
არასაოპერაციო ხარჯები	8,910,928.00	3,279.00	8,914,207.00
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	856,486.00	-	856,486.00
არაფინანსური აქტივების გასვლა	7,393,949.00	-	7,393,949.00
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	660,493.00	3,279.00	663,772.00
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	304,058.00	10,302.00	314,360.00
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	304,058.00	-	304,058.00
მოგების გადასახადი	-	10,302.00	10,302.00
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	247,843,947.00	146,667.00	247,990,614.00
ნაშთი წლის ბოლოს	580,747,848.00	2,968,568.00	583,716,416.00

ფორმა №5 – ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიში

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის	საკასო ხარჯი	გადახრა % დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
ხარჯები	2,848,735,000.00	2,871,424,546.00	101.00	2,884,777,911.00	100.00	3,760,000,000.00	130.00
მათ შორის:	-	-	-	-	-	-	-
შრომის ანაზღაურება	31,912,000.00	32,145,360.00	101.00	33,576,838.00	104.00	33,603,641.00	100.00
არაფინანსური აქტივების ზრდა	32,265,000.00	11,191,197.00	35.00	20,484,535.00	183.00	-	-
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	-	164,469.00	-	858,348.00	-	-	-